საქართველოს მთავრობის

დადგენილება №98

2008 წლის 12 აპრილი

ქ. თბილისი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიენიჭოს უფლებამოსილება, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია დანართით განსაზღვრული საშენი მასალისა და სამეწარმეო დანიშნულებით გამოსაყენებელი (გარდა ჩამოსასხმელი და წყალმომარაგების მიზნისა) მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოსაპოვებლად.

2. დამტკიცდეს პირველი პუნქტით გათვალისწინებული საშენ მასალათა ნუსხა დანართის შესაბამისად.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ლიცენზიას გასცემს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსათვის ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2006 წლის 26 იანვრის №21 დადგენილება.

5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი *ვლადიმერ გურგენიძე*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გასაცემ საშენ მასალათა ნუსხა

№	წიაღისეულის გავრცელების რაიონები	საბადოები (N სქემები)	გამოვლინება	განზ. ერთ.	მარაგი (01.01.2002წ. მდგ.)		პროგნოზული რესურსები (01.01.2002წ. მდგ.)	
					$A+B+C_1$	C_2	P_1+P_2	P_3
1	2	3	4	5	6	7	8	9
1. მოსაპირკეთებელი ქვები - მაგმური ქანები								
1.	შუახევის	ჟანივრის (67) გაბრო	-	ათ. მ^3	1300	-	-	-
2.	ქობულეთის	ხალასთავის (12) გაბრო-დიორიტი	-	ათ. მ^3	550.0	-	-	-
3.	ხულოს	დანისპარაუ-ლის (78)	-	ათ. მ^3	2289.0	-	-	-

		დაციტი						
4.	ქობულეთის	დაგვას (II) ტუფობრექჩია	-	ათ. მ3	1124.0	-	-	-
5.	შუახევის	-	სანალიას (71) დაციტი	ათ. მ3	-	-	700.0	-
6.	ქედის	-	ნამონასტრე-ვის (სიენიტ-დიორიტი-43)	ათ. მ3	-	-	600.0	-
7.	შუახევის	-	საყვირალას (66) სიენიტი	ათ. მ3	-	-	60.0	-
8.	შუახევის	-	მგლის საწოლის (65) გაბროდიორი-ტი	ათ. მ3	-	-	170.0	-
9.	შუახევის	-	გოგაძეების (60) ტეშენიტი	ათ. მ3	-	-	980.0	-
სულ მოსაპირკეთებელი მაგმური ქვები				ათ. მ3	5263,0	-	2510.0	-
2. სამშენებლო ღორღი და ინერტული მასალა								
2.1	ხელვაჩაური	ახალშენის (17)7 პორფირიტი	-	ათ. მ3	11000.0	-	-	-
2.2	ხელვაჩაური	ხეყრუს (18) დიორიტ-დაციტი	-	ათ. მ3	1097.0	-	-	-
2.3	ქობულეთის	კინკიშის (7) ანდეზიტი	-	ათ. მ3	8765.0	-	-	-
2.4	ქედის	დოლოგანის (22) ანდეზიტი	-	ათ. მ3	1330.0	6030.0	4620.0	-
	სულ ღორღი და ინერტული მასალა			ათ. მ3	22192.0	6030.0	4620.0	-
3. სამშენებლო ქვიშა-ხრეში								
3.1	ხელვაჩაური	ჭოროხის (19)	-	ათ. მ3	943.0			
		ყოროლის წყალი						
4. სააგურე თიხა								
4.1	შუახევის	ბროლის (68)	-	ათ. მ3	490.0	540.0	-	-
4.2	ქობულეთის	ოჩხამურის (3)	-	ათ. მ3	4000.0	-	-	-
4.3	ქობულეთის	ცეცხლაურის (4)	-	ათ. მ3	1718.0	-	-	-
4.4	ქობულეთის	ჯიხანჯურის (2)	-	ათ. მ3	448.0	-	-	-
	სულ სააგურე თიხა			ათ. მ3	6646.0	540.0		